

# პოლიტიკური ლიდერების იმიჯები რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითზე

თათია ისაკაძე, ლიკა წიქარიძე, ირაკლი ბუაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი. 2022

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თათია ისაკაძე, ლიკა წიქარიძე, ირაკლი ბუაძე

18.06.2022

## აბსტრაქტი

ნაშრომის კვლევის მიზანია, რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითზე პოლიტიკური ლიდერების იმიჯებისა და კომუნიკაციის ფორმების შესწავლა და ანალიზი. კვლევაში განხილულია საერთაშორისო გამოცდილების ფონზე არსებული პოლიტიკური კომუნიკაციის წარმატებული თუ წარუმატებელი მაგალითები; ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, წარმოდგენილია პოლიტიკური იმიჯის შექმნისა და საზოგადოებაზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად სხვადასხვა თეორიების მიხედვით შემოთავაზებული იმიჯების ტიპები და ტექნიკები, რომელთა დახმარებითაც წარმატებულად პოზიციონირებენ პოლიტიკური ფიგურები საზოგადოებაში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში დეტალურად არის განხილული პოლიტიკური ლიდერების იმიჯები რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან, 2022 წლის 24 თებერვლიდან, სამი თვის განმავლობაში;

კვლევის პროცესი მოიაზრებდა, როგორც სოციალურ გამოკითხვას, ასევე აღნიშნულ თემაზე არსებული სამეცნიერო მასალებისა თუ სხვადასხვა ექსპერტთა შეფასებების ანალიზს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 225-მა რესპონდენტმა ონლაინ კითხვარის დახმარებით, სხვადასხვა სოციალური ქსელის მეშვეობით; ნაშრომში სიღრმისეულად არის შესწავლილი რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში, საომარ მოქმედებებში ჩართული პოლიტიკური ლიდერების პიარ კომუნიკაცია და მათი საჯარო გამოსვლები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა კონკრეტული განწყობები და დამოკიდებულებები ამ პოლიტიკური ფიგურების მიმართ. განხილულია რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური ლიდერების იმიჯების ფორმირების ანალიზი კრიზისულ ვითარებაში და წარმოდგენილია ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს საზოგადოებაში პოზიტიური თუ ნეგატიური ცნობიერების შესაქმნელად.

**საძიებო სიტყვები:** იმიჯი, კომუნიკაცია, პოლიტიკური ლიდერი, უკრაინა, რუსეთი

## **Abstract**

The main idea behind the research was to learn and analyse images and communication types of the leaders based on the Russia-Ukraine war. There have been discussed successful or unsuccessful examples of political communication based on the international experience; The paper showcases tips and techniques for political image creation and explains how to influence the audience positively. These techniques are the reason behind the successful positioning of politicians. Due to the research goals, there's a detailed discussion of Russia and Ukraine's presidents from February 24th 2022, to the present day. Finally, it explains how have their communications and images been perceived by people.

The research included a social survey, analysis of existing scientific materials, and expert estimates on this topic. In addition, two hundred twenty-five respondents participated in the study with the help of an online questionnaire through various social networks.

Besides the PR communication, their public speeches have also been examined, which led to the creation of specific attitudes towards the leaders. Finally, the study analyses the formation of images of Russian-Ukrainian political leaders in crises. Finally, it presents the criteria that play a unique role in creating a positive or negative societal consciousness.

**Key Words: Image, Communication, Political Leader, Ukraine, Russia**

მადლობა

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, კონკრეტულად კი - საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის შესაძლებლობისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს სამაგისტრო ხელმძღვანელს - თორნიკე გურულს.